ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4496081

ნომერი: AR1679738

თარიღი : 07.05.2019

გაცემის თარიღი : 13.05.2019

გაცნობის თარიღი : 14.05.2019

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპირო , ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია(ნაკვ.5/35);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან დევდარიანი პ/ნ 42001003777
- ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.#14, ბინა #41

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ბენზინ ან დიზელ გასამართი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2019 წლის 07 მაისის # AR1679738 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორია (ნაკვ. 5/35) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.18.09.005.059) გაზგასამართი ნაგებობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას.

პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2).

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის შერეულ საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონას და მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გეგმარებით კარკასზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. აღნიშნულ ზონაში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით.

ხსენებულ მიწის ნაკვეთზე ასევე დასაშვებია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები. აირგასამართი სადგური ან აირსავსები საკომპრესორო სადგური საჭიროებს სპეციალ ზონალურ შეთანხმებას.

ასევე გაცნობებთ, რომ საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2 (სსზ-2)-ში, მომქმედი კანონმდებლობით მშენებლობისთვის მინიმალური ფართობია 700 კვ.მ., მინიმალური სიგანე 20 მეტრი, მინიმალური სიღრმე 30მეტრი. (თუ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია სწორკუთხა ფორმა, მის სიგანედ მიიჩნევა საზოგადოებრივი სივრცის/ქუჩის მხარე საზღვრების გაბარიტული ზომა, რომლის მიმართ მართობული ზომა მიიჩნევა მის სიღრმედ).

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
კ-1
0,5 * / 0,7
კოეფიციენტი
კ-2
4,6
კოეფიციენტი
კ-3
0,2
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
700
კვ.მ
მინიმალური სიგანე
20
მეტრი
მინიმალური სიღრმე
30
მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე
–
მეტრი
შენიშვნა
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის

აღნიშნულიდან გამომდინარე პირველ რიგში შესაბამისი დოკუმენტაციით უნდა მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და მოითხოვოთ სპეციალური ზონალური შეთანხმების ნებართვა გაზგასამართი ნაგებობის მშენებლობასთან დაკავშირებით.

აქვე გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია სამანქანო მისასვლელი გზა. ნაკვეთი ემიჯნება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ს/კ N 01.18.09.005.058).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2019 წლის 07 მაისის # AR1679738 განცხადება და გასცეს დადებითი გადაწყვეტილება გაზგასამართი სადგურის მშენებლობის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.